ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ, კერძოდ:

2021 წლის 01 იანვრიდან დღემდე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 65 მომართვა, ხოლო საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე - არცერთი.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილ ვადებში განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაციის გაცემით.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად, არც უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრებულა.

ერთი განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, რომელებიც არ განეკუთვნებოდა ჩვენი უწყების კომპეტენციას, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-80 მუხლის თანახმად მონაცემთა მოძიების, შეგროვებისა და დამუშავების მიზნით გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

სრულ ინფორმაციას 2021 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე მოგაწვდით ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის N7 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშის ფორმის“ სახით.

დანართი - 3 ფურცელი

დანართი

საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშის ფორმა

(ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია)

ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)
65	64	ელზა გვენეტაძე ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძვლები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები)	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა
-	-	-	-	-

გ. სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ:

შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით	საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	არ დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ტყიბულის განვითარების სტრატეგიული გეგმის თაობაზე	10	10	-	-
თანამდებობის პირების თაობაზე	3	3	-	-
Covid-19-ის პანდემიის პრევენციის მიზნით გაწეული ღონისძიებების თაობზე	6	6	-	-
მერიაში დასაქმებულთა რაოდენობის, საკადრო ცვლილებების, მათ შორის გენდერულ ჭრილში, სახელფასო სარგოს, გაცემული პრემია-დანამატების თაობაზე	7	7	-	-

ადმინისტრაციული, წარმომადგენლობითი და სარეკლამო ხარჯების თაობაზე	5	5	-	-
ტყიბულის მუნიციპალიტეტზე რიცხული ავტომობილებისა და საწვავის ხარჯის თაობაზე	3	3	-	-
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის თაობაზე	3	3	-	-
სოციალური პროგრამების, მერის სარეზერვო ფონდის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს, შშმ პირთათვის გაწეული სოციალური თუ სხვა სახის დახმარების თაობაზე	8	8	-	-
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მისი შესრულების თაობაზე	6	6	-	-
მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, მათში დასაქმებულთა ოდენობის, საკადრო ცვლილებებისა და სხვადასხვა ხარჯების თაობაზე	8	8	-	-
დასახლების საერთო კრებების, პეტიციების, მრჩეველთა საჭოს, მერის ანგარიშების, ვებგვერდების, მოქალაქეთა მონაწილეობის თაობაზე	7	7	-	-
იდეებია კონკურსების თაობაზე	4	4	-	-
სულ გაწეული ხარჯი:				

დ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)
-	-

ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა
-	-	-	-

ზ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა	დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა
-	-